ემოციური სფეროსა და თვითშეფასების კვლევა საოჯახო ტიპის დაწესებულებებში მყოფ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებში

ანა წურწუმია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სკოლის ფსიქოლოგი, ფსიქოლოგ - კონსულტანტი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან კახიანი,

ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის

დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

სარჩევი

აბსტრაქტი — 2

შესავალი — 3

თავი I. მზრუნველობამოკლებული ბავშვების თვითშეფასებისა და ემოციური განვითარების პრობლემები — 5

თავი II. ემოცია — 8

2.1. უმცროსკლასელთა ემოციური სფერო — 9

2.2. გარდამავალი ასაკის მოზარდების ემოციური სფერო — 11

თავი III. აგრესია — 14

თავი IV. შფოთვა — 16

თავი V. თვითშეფასება — 19

5.1. თვითშეფასება უმცროს სასკოლო ასაკში — 20

5.2 .თვითშეფასება გარდამავალი ასაკის მოზარდებში — 22

თავი VI. კვლევის პროცედურა — 24

თავი VII. კვლევის შედეგები და ანალიზი — 26

თავი VIII. შეჯამება — 39

თავი IX. რეკომენდაციები — 41

თავი X. ხელის შემშლელი ფაქტორები კვლევაში — 43

თავი XI. გამოყენებული ლიტერატურა — 44

თავი XII. დანართი — 45

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია კვლევა, რომლის მიზანიც იყო იმის გარკვევა თუ როგორია საოჯახო ტიპის დაწესებულებებში მყოფი მზრუნველობამოკლებული ბავშვების ემოციური სფერო და თვითშეფასება, კერძოდ კი ალტერნატიული ოჯახური გარემოს შექმნა როგორ მოქმედებს მათი შფოთვის, აგრესიის, თვითშეფასების დონეზე და რამდენად საჭიროა უფრო მეტი ოჯახის ტიპის სახლის არსებობა საქართველოში.

კვლევა ჩატარდა საოჯახო ტიპის დაწესებულებებში, ,,ბავშვთა კრიზისულ ცენტრსა“ და სრულ ოჯახებში, ორი ასაკობრივი ჭრილის მიხედვით: უმცროსი სასკოლო ასაკი და გარდამავალი ასაკი. აღნიშნული ასაკების გათვალისწინებით, საოჯახო ტიპის დაწესებულებებში მყოფი ბავშვების შფოთვის, აგრესიისა და თვითშეფასების მონაცემები შედარდა ,,ბავშვთა კრიზისულ ცენტრსა“ და სრულ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების მონაცემებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ნაშრომში დაწვრილებითაა წარმოდგენილი სტატისტიკურად დამუშავებული შედეგები და მათი ანალიზი, როგორც ასაკის მიხედვით, ასევე მთლიანობაში.

ნაშრომში, ასევე, განხილულია ის მეთოდები, რომლებიც, ზემოთ ჩამოთვლილი, ფსიქოლოგიური მახასიათებლების საკვლევად იქნა გამოყენებული.

კვლევით ნაწილს წინ უძღვის ფსიქოემოციური სფეროსა და თვითშეფასების თეორიული საკითხები.

მიღებული შედეგების გათვალისწინებით, ნაშრომის კვლევითი ნაწილის ბოლოს, მოცემულია საჭირო რეკომენდაციები.